ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3299894

ნომერი: AR1508660

თარიღი : 29.05.2017

გაცემის თარიღი : 13.06.2017

გაცნობის თარიღი : 13.06.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გუდაუთის ქუჩა N17ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია ჩხარტიშვილი პ/ნ 33001001267
- საქართველო, ქალაქი თბილისი, კნოლევის ქუჩა, N 61

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 29 მაისის #AR1508660 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 4 აპრილის #2494364 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.
პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, გუდაუთის ქუჩა N17ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.145) სამსახურის მიერ 2016 წლის 4 აპრილის #2494364 ბრძანებით დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომლითაც მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვარი განისაზღვრა ჩრდილო–აღმოსავლეთით არსებული მისასვლელიდან და დაევალა დამკვეთს პროექტის შეთანხმების სტადიაზე საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზის, #01.13.05.004.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა.
ხსენებული მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით არსებულ ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა. დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკების. შესაბამისად საავტომობილო გზის მოწყობა აღნიშნულ ზონაში ნებადართული არ არის.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 4 აპრილის #2494364 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.145) მისასვლელი სამანქანო გზის ჩრდილოეთით არსებული ტერიტორიის განსაზღვრის მიზნით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.